წელიწადი პირველი

თბილისი, პარასკევი 14 ივლისი, 1906 წ.

ცალკე ნომერი 3 კ.

# ახალი ცხოვრება

№ 20.

ყოველ დღიური გაზეთი

№ 20.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ღირება:

თფილისში: წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ, თვიურათ—50

ქალაქს გარეთ: წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“.

## დ. ხაშურსა და სურამში.

10 ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე წლიურათ, ნახევარი წლით და თვიურათ. გაიყიდება ცალკე ნომერიც.

პორფ. ლე მელაძე.

## საერთაშორისო კონტრრევოლიუცია.

დღევანდელი რუსეთი ბევრნაირათ მოაგაგონებს დიდი რევოლიუციის საფრანგეთს. ეს მსგავსება სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ ჩვენშიც, როგორც საფრანგეთში, კონტრ-რევოლიუცია ფართოვდება, საკუთარ საზღვრებში ველარ თავსდება და სხვა სახელმწიფოების კონტრრევოლიუციას უკავშირდება—ის თანდათან საერთაშორისო ხასიათს იღებს. საფრანგეთში ძველმა მთავრობამ კავშირი შეჰკრა ავსტრიისა და პრუსიის მეფეებთან, მათი ჯარები მოიშველია და იერიში მიიტანა ხალხის რევოლიუციაზე. რუსეთში ძველი მთავრობა კავშირსა ჰკრავს გერმანიისა და ავსტრიის მეფეებთან—მას უნდა მათი ჯარები მოიშველიოს და სისხლში ჩაახრჩოს ხალხის რევოლიუცია.

ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინეთ დაირქვა აშკარა ხმები, რომ „რუსეთსა“ და „გერმანიას“ ჩუმი მოლაპარაკება აქვთო (იხ. „სევერნაია ზემლია“ № 3). მას აქეთ ხმები თანდათან ვრცელდებოდა. დღეს-კი იქამდე მივიდა საქმე, რომ შავრაზმელთა გაზეთი „როსსია“ პირდაპირ აცხადებს: „რუსეთის (ე. ი. კონტრრევოლიუციის) დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა რომ რევოლიუციონური ელემენტების ბრალია... ეს კარგათ იცის გერმანიის საიმპერატორო მთავრობამ. ამიტომ მან შესაფერისი ზომები მიიღო, რომლებიც სასურველ ნაყოფს გამოიღებენ“. ეს ზომები თურმე იმაში შესდგება, რომ „ავსტრია“ და „გერმანია“ ემზადებიან „რუსეთს“ ჯარი მოაშველონ, თუ ვინიცობაა რუსეთის რევოლიუცია გამარჯვებას მიაღწევს, მათ უკვე მოულაპარაკიათ ამაზე და გადაუწყვიათ, რომ „ცნობილ შემთხვევებში აქტიურათ ჩაერიონ რუსეთის შინაგან საქმეებში რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ, ან ასალაგმავათ, რაც ასე სასურველი და სასარგებლო იქნებოდაო“... ასე ლაპარაკობს „როსსია“. როგორც ხედავთ, საერთაშორისო კონტრრევოლიუციას დიდი სამზადისი ჰქონია. კაი ხანია, რაც ის ფულებით ეხმარება კონტრ-რევოლიუციონურ რუსეთს რევოლიუციის წინააღმდეგ. მაგრამ ეს აღარ იკმარა. ახლა ჯარითაც გადაუწყვიტია დახმარება.

ამის შემდეგ ბავშვისთვისაც კი ადვილი ასახსნელია როგორც სათათბიროს დათხოვნა, ისე სტოლიპინის „ახალი“ განკარგულებანი და ტრეპოვის „ძველი“ პაგრომები.. უნდა ვიფიქროთ, რომ დღეის იქით მაინც გაეფანტებათ ტყუილი იმედები თეთრხელა ლიბერალებს და დანარჩენ გულუბრყვილოებს, დღეის იქით მაინც დარწმუნდებიან, რომ ჩვენში არ არის „კონსტიტუცია“, რომ ჩვენში სამოქალაქო ომია, სადაც ომის კანონებზე უნდა წარმოებდეს ბრძოლა...

მაგრამ დღევანდელი რუსეთი სხვა მხრივაც წააგავს მაშინდელ საფრანგეთს. მაშინ საერთაშორისო კონტრევოლიუციამ რევოლიუციის გაფართოვება გამოიწვია, მისი ზედგავლენით რევოლიუციამ საფრანგეთის საზღვრები გადმოხეთქა და ნიაღვარივით მოედო ევროპას, - თუ ევროპის „გვირგვინოსნები“ საერთო კავშირში ერთდებოდნენ, სამაგიეროთ, ევროპის ხალხებიც ხელს უწოდებდნენ ერთმანეთს და საერთო იერიში მიჰქონდათ. ამ გვარივე მოვლენას ვხედავთ დღევანდელ რუსეთში. „თხუნელა კარგა სთხრის“... რუსეთის კონტრევოლიუცია ევროპის კონტრრევოლიუციასთან შეკავშირებით დაუღალავათ აფართოვებს რევოლიუციას, ერთმანეთთან აკავშირებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს და საძირკველსა ჰყრის საერთაშორისო რევოლიუციისთვის. რუსეთის პროლეტარიატი დემოკრატიულ რევოლიუციას უძღვის და ხელს უწოდებს, მჭიდროთ უკავშირდება ევროპის პროლეტარიატს, რომელიც სოციალისტურ რევოლიუციას დაიწყებს. 9 იანვრის გალაშქრებას საერთო მიტინგები მოჰყვა ევროპაში. დეკემბრის გალაშქრებამ დემონსტრაციები გამოიწვია გერმანიისა და საფრანგეთში. ეჭვი არ არის, რომ მომავალი გალაშქრება გულს აუნთებს და უფრო მედგრათ აამხედრებს ევროპის პროლეტარიატს. საერთაშორისო კონტრრევოლიუცია მხოლოთ დააჩქარებს და გააღრმავებს, მხოლოთ გააალმასებს და მაგარ ნიადაგზე დააყენებს საერთაშორისო რევოლიუციას. ლოზუნგი: „ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდითო“! ნამდვილ გამოხატულებას მიიღებს.

**გაზეთების შეჩერება მატულობს. კადეტების და ტრუდოვიკების კლუბები დახურეს. — რეაქცია ზომებს იღებს მოსალოდნელი საერთო გაფიცვის წინააღმდეგ. — გაფიცვები მატულობს. — სალდათები და კაზაკები მღელვარებს.**

მაშ იმუშავეთ ბატონებო, იმუშავეთ თქვენგან გაფართოვებულ რუსეთის რევოლიუციას თქვენგანვე გაძლიერებული ევროპის რევოლიუცია მოჰყვება და მაშინ... მაშინ ზარი დაერეკება არა მარტო ბატონყმურ ნაშთებს, არამედ თქვენგან შეყვარებულ კაპიტალიზმსაც.

დიახ, თქვენ „კარგათა სთხრით“ ბ. კონტრ-რევოლიუციონერებო.

კობა

## სადღეისო კითხვები

**არა შეჯდა მწყერი ხესა—არა იყო ჯვარი მისი.**

ჰოი, ბაგეთაგან ცეცხლის მფრქვეველნო, სიბრძნით და განათლებით აღჭურვილნო, რაინდნო ზრდილობისანო, დარბაისელნო და დინჯნო კადეტებო! საით მიიქცევიან ფერხნი თქვენი?

მშიშარა მწყერებო! სხვა დროს როდის მჯდარან კადეტები რევოლიუციის ძლიერ შტოვან ხეზე, რომ ახლა შემჯდარიყვენ.—„ჩვენ ამიერიდან აღარა ვართ ხალხის წარმომადგენელნი!“ ნუ იტყვით, ბატონებო! არა, ერთი მიბრძანეთ: ამიერიდან რომ აღარ ბრძანდებით ხალხის წარმომადგენელნი, აქამდის კი ბრძანდებოდით?

საბრალო ხალხი! რაღა ეშველება მას, „ამიერიდან“? აღარა ყავს ხალხს თავისი საყვარელი დეპუტატები: როდიჩევი, პეტრუნკევიჩი, ნაბოკოვი, მურომცევი და ძმანი მათნი.

არა, პატივცემულნო! ისა სჯობია გულახდილათ გამოხვიდეთ ხალხის წინაშე და პირდაპირ აღიაროთ:

ხალხნო და ჯამაათნო! ჩვენ შევასრულეთ ჩვენი საქმე. ორი წლის წინათ ჩვენ არ გვრწამდი თქვენ... როცა თვითმპყრობელობას 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოგლიჯეთ ხელიდან, მაშინ ვიგრძენით თქვენი ძალა, გაქეთ და გადიდეთ... როცა დეკემბერში თავდავიწყებით შეებრძოლეთ მტერს, სისხლით მორწყეთ მოსკოვის ქუჩები, პულემიოტებს და თოფის ტყვიებმა გაგიგმირეს მამაცი მკერდი-მაშინ უტიფრათ დაგცინოდით, ცინიკურათ, გისაყვედურებდით „გიჟურ“ საქციელს და ზურგს გაქცევდით უშიშარს და თავდადებულ გმირებს... როცა თქვენი შიშით მთავრობამ სათათბირო მოიწვია, მაშინ ხელ ახლა ხოტბა შევსხით თქვენ, რადგან სათათბიროში ლაყბობა გვწყუროდა და ვინ იცის რაებს არ გპირდებოდით არჩევნების დროს!... როცა სათათბიროში შევედით, მუხანათობა და ღალატი დავიწყეთ, კუდა-მელასავით „ლობე-ყორეს ვეფარებოდით“ და ფრთხილათ მიეპარებოდით მინისტრთა სავარძლებისაკენ-მათარობის ყურძნისაკენ. არ გასჭრა ჩვენმა პოლიტიკამ, გაგვრეკეს. დავემორჩილეთ ბედს, რადგან ჩვენ ლაჩრები ვართ და მოვიშორეთ „ხალხის წარმადგენლების“ სახელი. ახლა თქვენ კვლავ სიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლას დაიწყებთ. კვლავ დაინთხევა თქვენი სისხლი, კვლავ გაისმება თქვენი ყიჟინა... და ჩვენ კი, ჩვენ... კვლავ შევაქებთ იმისთვის, რომ კვლავ ზურგი შევაქციოთ, კვლავ გილალოთ, შევურაცხყოთ თქვენი წმინდა ბრძოლა, თქვენი წმინდა სისხლი, თქვენი წმინდა მიზანი... ჩვენ შევასრულეთ ჩვენი საქმე.

აი როგორ უნდა მიმართონ რევოლიუციის მეგობრებს რევოლიუციის მტრებმა-კადეტებმა.

**წმინდა მოწამეთა მღვიმე.**

ოსანა მაღალთა შინა! საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

ჯერ, მგონი, სამი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელ რუსეთში წმინდა სერაფიმე საროველის სასწაულთ მოქმედი ძვალნი შთენილნი აღმოაჩინეს და აგერ პეტერბურგში ამზადებენ მღვიმესა წმიდასა, სად შთაიმარხებიან გვამნი უმწიკვლონი ტანჯულთა სამშობლოისათა, მონათა ღვთისათა: პლევესი, სიპიაგინისა, სახაროვისა, ბოგოლეპოვისა, ჩუხნინისა და სხვათა ერთგულთა ხელმწიფისათა.

ასეთი ზეციერი საქმის გამზრახველთა მიზანი შემდეგია: ზემოთ ჩამოთვლილ ნაშთების შეწუხება და საზოგადო აკლდამაში გადასვენება „ხალხის“ მხრით „თანაგრძნობას“ გამოიწვევს სამშობლოს „კეთილ დღეობისათვის“ ტანჯულთადმი.

ხალხის თანაგრძნობის რა მოგახსენო და ის კი აშკარაა, რომ გაემართება თუ არა ქუჩებზე ერთგულ ქვეშევრდომთა პროცესია წამებულ გვამთა წინამძღოლობით ქვეყანას მოევლინება სასწაული: უხილავე ხელი სათაელისა შთამოაგდებს ღრუბელთაგან ყუმბარასა ძლიერსა, რომელი აღგვის პირისაგან ქვეყნისა ორ გოროდოვოის და ერთს გოროდოვოის ცოლსა (სწორეთ ისე როგორც ბელასტოკში მოხდა). უხილავნი მარჯვენანი განგებისანი აღიღებენ ხელსა თვისთა ხმალსა და თოფსა მჭექარესა და გაავლებენ მუსრსა ქრისტეს მოღალატე ებრაელთა და კრამოლნიკებსა...

დანარჩენს მკითხველი მიხვდება.

## ახალი ამბები

13 ივლის თფილისის საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე „სხივის“ რედაქტორის **ვლ. ახმატელაშვილისა**, რომელსაც ბრალსა სდებდენ „სხივის“ მე-15 ნომერში ადმინისტრაციის საწინააღმდეგო წერილისა და ცნობების მოთავსებისათვის. სასამართლო ვლ. ახმ-

ტელაშვილი უამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა 50 მანეთით დაჯარიმება, ან 10 დღით ციხეში დაპატიმრება.

✦ 18 ივლისისათვის კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოში დანიშნულია განსახილველათ საქმე მგელაძისა, კრუაშვილისა და კვაჯაძისა, რომელთაც ძმათა ალიხანოვის გაცარცვა ბრალდებათ 1905 წლის დეკემბერში. ეს საქმე ერთხელ განიხილა სამხედრო სასამართლომ და გაამართლა ყველანი, მაგრამ პროკურორმა განასაჩივრა იგი მთავარ სამხედრო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა წინანდელი გადაწყვეტილება, რის გამოც ხელმეორეთ ირჩევა ეს საქმე.

✦ 12 ივლისს 4 საათზე ანინსკის ქუჩაზე ვიღაც ორმა უცნობმა დანით დაჰკრეს მ. ტერ-ტეროვი თავისავე დუქანში, ნივთები და ჰურჭელი მიუნტვრ-მოუმტვრიეს და მიიმალნენ. მიზეზი არ იციან.

✦ გუშინ პოლიციელებმა ალყა შემოარტყა გრებოედოვის ქუჩაზე სახლს მექვსე ნომერს და გაჩხრიკა. მაგრამ ვერაფერი იპოვეს. სხვათა შორის კითხულობდენ **ელისო ლომინაძეს...**

✦ გზათა სამინისტრომ აცნობა რკინის გზის (და მათ შორის ამიერ-კავკასიისასაც) უფროსებს, რუსეთში ძალიან ბევრი ხალხი დაიმშა და ბევრიც უადგილოთ დარჩა, ამიტომ იმათთვის ადგილები უნდა გამონახოთ: დაუყოვნებლივ შემატყობინეთ რამდენისათვის შეგიძლიათ სამუშაოს მიცემაო. („შრომა“).

✦ გუშინ პოლიციელები იჭერდენ გაზეთების გამყიდველ ბავშვებს და ართმევდენ ახლათ გამოსულ გაზეთ **„ვსტან სპიაშჩი-ს“** მერვე ნომერს.

✦ გუშინ ჩვენ გაზეთში მოთავსებული გვქონდა პოლიციის ოფიციალური ცნობა გორში მცხოვრებ ზეინკალი მამულაშვილის მოკვლის შესახებ ამ მოკვლის ამბავს გორიდან სულ სხვანაირათ გვატყობინებენ. მამულაიშვილს შესაკეთებლათ ჰქონია ვიღაცას რევოლვერი, რომელიც საცდელათ რამოდენჯერმე დაუცლია ლიახვის პირას. რევოლვერის ხმაზე მოსულა პატრული და თოფი დაუშენია. შეშინებული მამულაიშვილი გაქცეულა, მაგრამ გაქცეულს მოხვედრია ტყვია და წაქცეულა. ტყვიის ჭრილობას გარდა, განსვენებულს ოთხი ხიშტებით ჭრილობა ჰქონია. ამ ამბის გამო მთელ გორში საერთო გაფიცვაც გამართავთ

✦ 12 ივლის ოლგინის ქუჩაზე სპარსეთის ქვეშევრდომმა ჰამედ-ახმედ-ალიოღლიმ რევოლვერით ვიღაცა მოიკლა. მიზეზი არ იციან.

✦ კორპუსის ინჟინერი შაიკევიჩს, რომელიც სახელით ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსათ ითვლებოდა, ცნობა მოსვლია, რომ იგი არხანგელსკის რკინის გზის უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა.

✦ თავისუფალ საეკონომიო საზოგადოების მდივანი გთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ წლის 1 ივლისიდან ამ საზოგადოების **ყვავილოს ამცრელ დაწესებულებამ** მოქმედება შესწყვიტაო.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორმა მოსთხოვა პოლიცმეისტერს აცნობოს მას, რანაირათ მოხდა, რომ მოკლულს სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპეკტორის შიო ჩიტაძეს კისერზე ისეთი ჭრილობა ჰქონდა, რომელიც ტყვიის ჭრილობას არ გავდა.

✦ გუშინ ექიმმა სტეპანოვმა სხვა ექიმების თანადასწრებით მეორეჯერ აუხსნა სანიტარულ აღწერის გამგეთ, თუ როგორ უნდა ადგენდენ ბლანკებს, მაგრამ ზოგიერთი პარაგრაფი ბლანკისა ისე უთავბოლოთ ყოფილა შედგენილი, რომ თვით ექიმი სტეპანოვი ვერ ახერხებდა გაგებასა და ახსნას.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ აცნობა პოლიცმეისტერს, ჩვენ მოვაწყვეთ უმუშაოთ, დარჩენილთა ბიურო, რომელსაც ალექსანდროვის ბაღში ცალკე სადგომი აქვს დათმობილი. ამ ბიუროს მიმართავენ უმუშაოთ დარჩენილები. ამას გარდა მოწყობილი გვაქვს ცენტრალური და უბნების კომისიები სასანიტარო და საოჯახო აღწერისათვის. რადგანაც ეს სამუშაო საჭიროებს პოლიციის დახმარებასაც, ამიტომ გამგეობა გთხოვს მოახდინოთ განკარგულება, რომ პოლიციელები ხელს არ უშლიდენ დაწყებულ სამუშაოს და პირიქით, თუ საჭირო იქნა, დახმარებაც გაუწიოს.

✦ ივლისს საღამოს 9 საათზე ერევნის მოედანზე 3 ღაც სალდათი ტრამვაის ვაგონზე ავიდა უბილეთოთ. კანდუქტორმა მოსთხოვა ბილეთის აღება; სალდათმა კი ბილეთის აღების მაგივრათ ცემა დაუწყო კანდუქტორს. როგორც იყო ვატმანმა და ახლო მდგომმა პოლიციელებმა კანდუქტორი გამოაცალეს სალდათს ხელიდან, ხოლო თვით სალდათი საკომენდანტო სამართველოში წაიყვანეს.

## კავკასია

**დუშეთის მაზრა** ორი წლის ბრძოლამ უკმეხ მთავრობასთან დუშეთის ხლეხ-კაცობაც გააკაჟა და დღეს ერთ ხელ ნაგებ თავისუფლებას ის ადვილად აღარ დაუთმობს გამხეცებულს მტერს. აგიტატორ-პროპაგანდისტებს აქაური გლეხ-კაცი სიამოვნებით იღებს და გამალებული ისმენს მისს ნალაპარაკევს. ის პოლიტიკურათ გაიზარდა, თავი მაღლა ასწია და თავის გარშემოს გარდა შორეულ რუსეთსაც კითხულობს. „რა ხდება რუსეთში“. აი ამ კითხვით მიმართავს ხშირათ დუშეთის მაზრის გლეხი პროპაგანდისტ-აგიტატორებს და მოკლე პასუხი ვეღარ აკმაყოფილებს მას მას უნდა შეგნებული ახსნა დღევანდელი ვითარებისა, საქმის მდგომარეობისა, რომ მის მიხედვით თვითონაც იმოქმედოს. მაგრამ შავბნელი ძალები გზას ულობავენ და წინსვლის ნებას არ აძლევენ მაგ. მე ჩამივარდა ხელში სოფელ ახატანის თავად-აზნაურობა საზოგადოების არზა მაზრის უფროსის სახელზედ, რომლითაც ეს „ბრწყინვალე“ აბეზღებს იმავე სოფლის მცხოვრებს. ნ. ო. გლეხების კრებებზედ თავმჯდომარეობს ხოლმეო და სთხოვს მას მიიღოს მის წინააღმდეგ რაიმე ზომა. ასევე სცდილობს ეს „საქართველოს სიამაყე“ რევოლიუციის ცეცხლის ჩაქრობას სხვა სოფლებშიც.

არა ნაკლებ საზიზღარ ზომებს მიმართა ბ. ქუმსიშვილმა ბოქაულობის მოლოდინში. ეს ვაჟბატონი გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შვიდის კაზაკით დათარეშობს მთელს დუშეთის მაზრაში და ეძებს „კრამოლნიკებს“. ამ სახით ნახეს ეს დახელოვნებული მოხელე ს. საგურამოში, ჯადის ჯვარში, გრემისხევში და სხვ.

სამღვდელოებაც არ ჩამორჩა პოლიციას. აღარ იცის რა საშუალებას მიმართოს, რომ კუჭი უსიამოვნოთ არ აუტოკდეს; გლეხებს დრამში სთხოვს თითო მუშას მაგ. ს. ოკამის, ს. ქსოვრისის და სხვ. მღვდლები) მაგრამ გლეხები წინააღმდეგნი არიან ამგვარის გაბეგვრისა და არაფერს არ იხდიან. მღვდლები თავის მხრივ არავითარს მღვდელმოქმედებას აღარ უსრულებენ გლეხებს, რას იზამ ისინიც გაიფიცნენ!

## პრესა

ერთობ ახირებული და თან სასაცილო ხალხია ჩვენი ავტონომისტები. რას არ გამოეკიდებიან, სად არ შეჭოპავენ, რა ოინებს არ მიმართავენ, ოღონდ ერთი მეტი „საბუთი“ იშოვონ ავტონომიის სასარგებლოთ! ამას წინათ „შრომის“ ერთერთ დამატებაში დასტამბული იყო ფინლიანდიის ბუნების დამახასიათებელი სურათები. ბუნებას ყველგან აქვს თავისებური მშვენიერება და ამას, რა თქმა უნდა, არც ფინლიანდია იქნებოდა მოკლებული., მაგრამ, დახეთ ჩვენ ავტონომისტებს! ისინი აქაც თავისებური, ავტონომიური არშინით მიდიან და ქვესახლში ისხდენ. ზოგიერთ იმათგანს იქნება იარაღიც ქონდა და სურვილიც ქონდა ბრძოლის, მაგრამ აბა როგორ უნდა ებრძოლათ უორგანიზაციოთ. უწყობრათ და უსისტემოთ?!

## ფელეტონი

### რა არის ჩვენთვის საჭირო?

(საუბარი მუშებთან)

დასასრული *).

დიახ, შეგნების გარდა, ხალხისთვის საჭიროა კიდევ მჭექარე თოფი ხელში.

თუ რომ მუშათა კლასს ეს იარაღი არა აქვს, მას ბევრი სისხლი გასდინდება სანამ ის თავის მიზანს მიახწევდეს. თვითმპყრობელობას არ უნდა ტკბილი ლუკმა პირიდან გამოიცალოს. მას არ უნდა, რომ თავისი თავი თითონ დაიმარხოს. ის იბრძვის და იბრძოლებს სანამ შეუძლია და პირში სული უდგას. თუ გინდათ ასეთი მტერის დამარცხება, თქვენ უნდა გქონდეთ მჭექარე თოფი ხელში.

დღეს ჩვენ ვეწევით ორნაირ ბრძოლას—იდეიურს და პრაქტიკულს. იდეიური ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ვავრცელებთ სოციალდემოკრატიულ შეგნებას, ვეხმარებით მუშათა კლასს თავისი კლასიური ინტერესების გამარჯვებაში და ასე, იდეიურათ ვაკავშირებთ პროლეტარიატს, მაგრამ ამ შეგნებას და კლასიურ ინტერესებს ცხოვრებაში განხორციელება ესაჭიროება. ამას თვითმპყრობელობა ნებით არ გვაძლევს, ის ხელფეხს გვიკრავს და აქ ძალაა საჭირო, შეიარაღებული ბრძოლა, რომ რეაქცია დავამხოთ და ხელფეხი გავიხსნათ. რომელ ბრძოლას უნდა მივცეთ უპირატესობა დღევანდელ მომენტში, შეიარაღებულს, თუ ჩვეულებრივ იდეიურ-პრაქტიკულ ბრძოლას? მე ვუპასუხებ, რომ ორივეს მეთქი. რომელი ბრძოლა უნდა გავწიოთ უფრო?—ორივე. ეს ორნაირი ბრძოლა ერთად უნდა მიდიოდეს და ერთ და იმავე ძალით უნდა წარმოებდეს. ეგენი უერთმანეთოთ არ ვარგა დღევანდელ რევოლიუციონურ ხანაში.

ამ მხრითაც დიდი ნაკლი აქვთ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს. ისინი ამცირებენ და სრულიათ შეგნებულათ ამცირებენ შეიარაღებული ბრძოლის მნიშვნელობას. ავიღოთ მაგალითათ ტბილისი და წარსული წლის, დეკემბრის აჯანყება.

ჩვიდმეტ ოქტომბრის შემდეგ ხალხმა ცოტათ თუ ბევრათ თავისუფლება იგრძნო და, თუ ვინც კი შეგნებული მტერი არ იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის, ყველა მზათ იყო გამარჯვებულ სოციალდემოკრატიისთვის რითიმე დახმარება აღმოეჩინა, ყველა პატივის ცემით ეპყრობოდა მას. ამ დროს ადვილათ შეიძლებოდა სხვა-და-სხვა დაწესებულების ჩინოვნიკები, ბევრგან აფიცრები და მით უმეტეს სალდათები რაიმე საქმეში გამოგვეყენებია. ამ დროს შეიარაღება ისე ძნელი საქმე არ იყო. მაგრამ ჩვენი ამხანაგები თითქმის მარტო აგიტაციას ეწეოდენ და იმ ამხანაგებს, ვინც შეიარაღებას ურჩევდა ხალხს, დასცინოდენ კიდევაც. ისინი მართავდენ მიტინგებს და რადგანაც შედარებით თავისუფლება სუფევდა ხალხი ათასობით ესწრებოდა მიტინგებს. ყოველი სოციალდემოკრატ ორატორის სიტყვის შემდეგ ათი-ათასი კაცი და ზოგჯერ მეტიც ერთხმათ იმეორებდა მის ლოზუნგებს. ძირს თვითმპყრობელობა და ძირს ბურჟუაზია მეხივით ამოსკდებოდა ამოდენა ხალხის გულიდან. „როცა ამოდენა ხალხი ჩვენსკენაა, როცა ეს ზღვა ადამიანებისა ჩვენ გვეძხრობა, მაშინ არც ისე საჭიროა შეიარაღებაო“. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ როცა საერთო გაფიცვის დროს რუსეთიდან რეაქციის გამარჯვების ამბავი მოვიდა და ჩვენმა რეაქციონერებმაც წამოაყენეს ტფილისის ქუჩებზე შტიკები და ზარბაზნები, პოლიციელები და ყაზახები,—მათ წინააღმდეგ არ იყო მთელ ტბილისში თუნდაც ოცი კაცი, რომ შეკავშირებული და მოწყობილი წინააღმდეგობა გაეწია და ისე სირცხვილი არ გვეჭამა. იქნება ამაზე ვინმემ მითხრას, რომ რაკი გაიგო ამხანაგებმა რუსეთში ხალხის დამარცხება და რეაქციის გამარჯვება, ამიტომ არ უნდოდათ აქ წინააღმდეგობა გაეწიათ და ტყვილა უბრალოთ სისხლი დაეღვარათო. ეს ტყუილია. წინააღმდეგობის გაწევის სურვილი ყველას ქონდა, საჭიროებაც დიდი იყო, ასე რომ, თუ გახსოვთ ერთ ღამეს ერთი ადგილი აუცილებლათ მოითხოვდა დაცვას და ამისათვის სახელდახელოთ შეაყენეს კიდეც თორმეტიოდე კაცის რაზმი, ზოგიერთ იმათგანს იმ საღამოსვე ასწავლეს იარაღის ხმარება, ამ სახელდახელოთ მოწყობილი რაზმი მოხერხებული ვერ შეიქნა და ცხრა იმათგანი დილით იპოვეს თოვლით სავსე ხევში ღორივით ყელ გამოჭრილები. მტრის მხრით-კი ერთი კაციც არ აღმოჩენილა უბრალოთ დაშავებული! ის ხალხი, რომელიც ტაშს უკრავდა მიტინგზე სოციალდემოკრატ ორატორებს, თავ თავის სახლში ისხდენ. ზოგიერთ იმათგანს იქნება იარაღიც ქონდა და სურვილიც ქონდა ბრძოლის, მაგრამ აბა როგორ უნდა ებრძოლათ უორგანიზაციოთ. უწყობრათ და უსისტემოთ?!

ამნაირათ მჭექარე თოფი ხელში ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა დღევანდელ რევოლიუციონურ ხანაში, ჩვენ უნდა შეგვეძლოს საჭიროების დროს ბრძოლის ველზე გამოსვლა და იარაღით ხელში მტერზე თავდასხმა და აგრეთვე თავისდაცვაც. დიახ, თავისდაცვაც, რადგანაც პაგრომი ყოველთვის მოსალოდნელია და ჩვენ კი იარაღი არ მოგვეძევება. ყველა ეს კი უნდა ხდებოდეს, რაც შეიძლება შეგნებულათ და მწყობრათ, რაც შეიძლება მოწესრიგებულათ და თავდარიგიანათ. ყველა ეს კი შეუძლებელია, თუ არ გვექნება:

**ფართე და მჭიდრო სოციალდემოკრატიული პარტია.**

დღეს ყველა ჩვენგანმა იცის, რა არის პარტია. პარტია არის კრებული ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის განსახორციელებლათ საერთო ორგანიზაცია და საერთო ტაქტიკური პრინციპები. სხვა-და-სხვა პირობებში მყოფ ადამიანთა შორის იბადება სხვა-და-სხვა მიზანი—ხოლო ერთნაირი მიზნის მქონენი კი ერთდებიან ერთ კავშირში და ადგებიან ერთ ტაქტიკურ გზას, რომ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი მიზანი. მუშათა კლასს აქვს თავისი საერთო განმათავისუფლებელი მიზანი და მაშასადამე მას უნდა ქონდეს პარტიაც—ამ მიზნის განსახორციელებლათ. მუშათა კლასის

*) იხ. „ახალი ცხოვრება“ № 19

ყანას აუწყებენ, — ფინლიანდიის ბუნების ავკარგიანობა ავტონომიის ბრალიაო. მაგალითათ, ერთგან დახატულია ჩანჩქერი და ამ სურათს ქვეშ ასეთი განმარტება უწერია: ავტონომიური ფინლიანდიაო. ე. ი. ეს ჩანჩქერი იმიტომ არის ასეთი მშვენიერი, რომ აქ ავტონომიაო. ნეტავ რა აკლდება პორჟომის და დარიალის ხეობის მშვენიერებას მით, რომ აქ ავტონომია არ არის! ოღონდაც, სასაცილო არიან ასეთი „საბუთების“ მაძიებელნი, რო საბრალისნი არ იყვნენ.

ამის შემდეგ რაღათ უნდა გაგვიკვირდეს ის სიხარულის ყლოპინი, რომელსაც ჩვენი ავტონომისტ-ფედერალისტები გუშინდელ „შრომის“ №-ში ეძლევიან. რა იყო? რა მოხდა?

გუშინ, პეტერბურგის სააგენტომ შემდეგი მეტათ საგულისხმო ცნობა გადმოგვცა: „თანახმათ 7 ივლისის უმაღლესათ დამტკიცებულ ფინლიანდიის სეიმის წესდებისა, ფინლიანდიის სეიმი შესდგება ერთ პალატისაგან 200 დეპუტატით. არჩევნები ხდება სამ წელიწადში ერთხელ პირდაპირი და პროპორციონალური არჩევნებით. საარჩევნო უფლება ეკუთვნის ფინლიანდიის ყველა მოქალაქეს, განურჩევლათ სქესისა. ქალებსაც უფლება აქვთ არჩეულ იქმნენ“.

ეს ცნობა მეტად საგულისხმო და დიდ მნიშვნელოვანიაო, ამბობს „შრომა“. ოღონდაც, რომ დიდ-მნიშვნელოვანია, მაგრამ რა მხრით, აი ყური დაუგდეთ.

დღემდის ფინლიანდია თავისი პოლიტიკურ წყობილებით არ ჩაითვლებოდა დემოკრატიულ ქვეყნათ, დღეს კი მან ისე საფუძვლიანათ შესცვალა თავისი პოლიტიკური წყობილება რომ დემოკრატიზმით უცებ გადააჭარბა საფრანგეთსაც, ინგლისსაც, შვეიცარიასაც და გვერდში ამოუჯდა ახალ ზელანდიის და ავსტრალიის ფედერაციას.

გაიგონეთ, ქრისტიანებო, ეს სულ ავტონომიის ბრალია! „შრომა“ მედიდურათ შენიშნავს: „ვიღაცამ სთქვა, ისტორია არავის არაფერს ასწავლისო და ეს აზრი... ჩვენებურ ცენტრალისტებზე (იგულისხმე: სოციალდემოკრატებზე) მართლდებაო“. ჩვენ კი ჩვენ თავათ ვიტყვით, რომ ჩვენებური ავტონომისტები ისტორიაში ვერაფერსა ხედავენ, ან არ უნდათ დაინახონ ავტონომიის გარდა. მათი აზრით, ავტონომია — ეს ისეთი საშუალებაა, რომელსაც თავის თავათ ყოველგვარი სიკეთე თან ახლავს. ფინლიანდიას წინათაც ქონდა ავტონომია, მაგრამ თავისი დემოკრატიზმით ვერავის „შური“ ვერ აღუძრა. წაართვეს ეს ავტონომია, მაგრამ თავისთავათ ეს ავტონომია ვერავის ძალ-მომრეობას წინ ვერ გაუდგა. კვლავ დაიბრუნა ეს ავტონომია, მაგრამ თავისი დემოკრატიზმით მხოლოთ ახლა მოგვარა „შრომას“ პირში ნერწყვი. დღეგრძელი იყავით, ბ-ნო ავტონომისტ-ფედერალისტებო და უფრო მეტ დემოკრატიზმს ნახავთ განახლებულ რუსეთში, მაგრამ თავისთავათ ავტონომია აქ არაფერ შუაში არ იქნება. მაშ ასე, უცადეთ ისტორიას, მანამდე კი იფიქრეთ და ეგება მიხვდეთ, რომ დემოკრატიზმის შემქნელი სულ სხვა ძალაა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ავტონომიის მოტრფიალემაც და ბიუროკრატიულ ცენტრალიზმზე დამყარებულმა მთავრობამაც.

# რუსეთი

**ჯარი და რევოლიუცია.** ოსოვეცის ციხის გარნიზონში ძლიერი მღელვარება დაიწყო. აქაური არტილერისტები საპიოღები უფროსებს აღარ ემორჩილებიან. სალდათებმა რამდენიმეჯერ სცემეს კიდეც თავიანთ აფიცრებს.

24 ივნისს ერთმა სალდათმა აფიცერს არ მიესალმა. აფიცერი გაწყრა. სალდათმა უთხრა: დღეში ერთხელაც მეყოფა სალამი, მე მოვალე არ ვარ ყოველ წუთში მოგესალმოო. აფიცერი ძალიან გაბრაზდა და ფელდფებელი მოითხოვა. „ფელდფებელი „დაპაჩინკებული“ გახლავთ და წევს, ვერ გიახლებაო, უპასუხა სალდათებმა (წინ დღით ძალზე ეცემათ ფელდფებლისთვის). აფიცერმა უნტერ-აფიცერი მოითხოვა სალდათებმა განუცხადეს, ჩვენ შორის უფროს-უმცროსობა მოისპო, ყველანი თანასწორები ვართო“... დარცხვენილი აფიცერი იძულებული გახდა მოშორებოდა სალდათებს. მთავრობას უნდოდა იარაღი აეყარა არტილერისტებისთვის, მარა ამათ არ მისცეს იარაღი.

ქვეით ჯარს პატრონები წაართვეს, მარა ამან კიდევ უფრო გააძლიერა მოძრაობა.

სალდათები მიტინგებს მართავენ და პოლიტიკური ხასიათის რეზოლიუციები გამოაქვთ.

— ჯარის კაცებზე ძლიერათ მოქმედობს მშობლების და მეგობრების წერილები. დედ-მამა და ძმები დაწერილებით სწერენ ხოლმე თავიანთ გაჭირებაზე, ყაზახების მხეცობაზე, დამსჯელ რაზმების სისასტიკეზე: „თქვენ ჩვენ უნდა დაგვიჭიროთ მხარი მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაშიო, სწერენ სალდათებს ნათესავები — თუ მთავრობის სამსახურს მოჰყვევით და ხალხის ცლეტა დაიწყეთ, დაგწყევლით და შეგიძულებთო. ასე თუ მოიქცევით, ეს სჯობია, ნუღა დაბრუნდებით შინო. ასეთ წერილებს ხმა მაღლა კითხულობენ ხოლმე და ყველა სულგანაბული და ჩაფიქრებული ყურს უგდებს.

— 1 ივლისს სვეაბორგის ფლოტის როტაში 2 მატროსი დაატყვევეს. დანარჩენმა მატროსებმა განაცხადეს: რაკი ეს ორი დაიჭირეთ, სუყველანი დასაჭერები ვყოფილვართ; რადგან ყველა მატროსები ერთნაირათ ვფიქრობთ და შეთანხმებით ვიმოქმედებთო. ამის შემდეგ 20 კაცი კიდევ შეიპყრეს და ჩუმათ გააპარეს პეტერბურგში. მატროსებს შორის მღელვარებაა.

**„ხალხის ერთგულთა“ აკლდამა.** სასახლის წრეებში გადაუწყვეტიათ, გააკეთონ პეტერბურგში საზოგადო სასაფლაო იმ „სამშობლოს ყველა ერთგულ მსახურთათვის“, რომელნიც რევოლიუციონერების მიერ არიან მოკლული. ფიქრობენ, შესაფერი პატივის ცემით და ცერემონიებით გადმოიტანონ ამ აკლდამაში დიდი მთავრის სერგია ნიკოლოზის ძის, ს პაგინის, პლევეს, ბოგოლეპოვის, გენერალ სახაროვის და სხვა „გმირების“ ნაშთები. მთავრობის აზრით ამ მკვდრების გადატანა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს რუსეთის ხალხზე.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისში დღეს მწვავდება ბრძოლა სკოლის ეკლესიისაგან განთავისუფლებისათვის. ინგლისმა სკოლებზედ ზრუნვლობა დაიწყო მე 70-ე წლებიდან; ამ დრომდამ შეიქნენ ეგრედ წოდებული „სასკოლო კომიტეტები“, რომელთაც ეძლეოდათ უფლება ახალ-ახალ სკოლების გახსნისა ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზედ ხაზინის დახმარებით. წინათ მოსწავლე ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ღარიბები, საეკლესიო სკოლებში სწავლობდნენ; ნახევარზედ მეტი დღევანდელი მოსწავლეებისაც ვერ მოშორებია ხელმოკლების გამო, ამ გვარ სასწავლებლებს. სამი წლის წინათ მოხდა „ნაციონალიზაცია“ ამ „თავისუფალ“ სკოლებისა. ყველა სკოლები გადავიდნენ მუნიციპალიტეტების გამგეობაში, რომლებთაც და ეკისრათ მათი შესანახი ხარჯიც, ხოლო მასწავლებლების დანიშვნის უფლება შერჩა სკოლის დამფუძნებულს და, გარდა ამისა, წინათ არსებული „სასკოლო კომიტეტები“ მთლიანათ შედიოდნენ მუნიციპალურ საშკოლო კომისიებში. ამ გვარად მათ ეძლეოდათ საშუალება ძველი გავლენის შენარჩუნებისა. ასეთი „გასაზოგადოებრივობა“ სკოლისა კლერიკალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებას ნიშნავდა. კითხვის ამ გვარ გადაწყვეტით არ დაკმაყოფილდნენ საერო სკოლის მოტრფიალენი ერთის მხრივ და სექტანტები მეორეს მხრივ ლიბერალურ სამინისტრომ ამის შესახებ შეიმუშავა კანონ პროექტი და აი ამ კანონ-პროექტის გარშემო მწვავდება ბრძოლა. კანონპროექტი საზოგადო რელიგიის სწავლებას სტოვებს სკოლის პროგრამაში; და არ ასახელებს ერთს რომელიმეს. ამ გვარის პოლიტიკანობით სამინისტროს, ორი კურდღლის დაჭერა უნდოდა: ერთის მხრივ სურდა ყველა სარწმუნოების მაღიარებლებისთვის ესიამოვნებინა, მეორეს მხრივ სკოლა არ გაშორებოდა ეკკლესიას. მაგრამ, გაუგეს ხრიკი და მართლმორწმუნეებმა ვამოუცხადეს ომი. რადგანაც პარლამენტის უმრავლესობა ლიბერალებია და მაშასადამე კანონ პროექტის დამარცხება პარლამენტშიაც შეუძლებელია, ამიტომ მართლმორწმუნეებმა მიმართეს ქუჩას, მართავენ საგულისხმიერო დემონსტრაციებს და მანიფესტაციებს (მაგ. ლონდონში ამ ორი კვირის წინათ) და სარწმუნოებრივ სიმძულვარეს აღიზიანებენ. მუშათა პარტია ითხოვს სრულიად განდევნილ იქმნას რელიგია სკოლიდამ და ეს გადაწყვეტილება უფრო და-უფრო ბევრს თანაგრძნობას პოულობს მართლმორწმუნეთა შორისაც-კი. „არც თქვენ და არც ჩვენ“ იძახიან მართლ-მორწმუნენი. ჯერ კაი ხანი გაივლის სანამ ინგლისში საერო სკოლა გაიმარჯვებს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

წავიკითხე მე „ახ. ცხოვრების“ მე-18 №-ში ვიღაც „შტიკის“ წერილი ფარმაცევტების შესახებ, რომელიც სიმართლეს მოკლებულია. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, სიმართლის აღსადგენად, ამ წერილის, თქვენს პატივცემულ ორგანოს მახლობელ ნომერში დასტამბვა.

8 ივლისს დანიშნული იყო თბილისის ფარმაცევტების მორიგი კრება, მაგრამ კრება არ შესდგა, რადგანაც არ დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა, რაც გამოცხადებული იყო ადგილო...

---

მტრები შეკავშირებული არიან და ასე, შეერთებული ძალით ეწევიან მის წინააღმდეგ ბრძოლას. და თუ ჩვენ გვინდა შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოთ და დავამარცხოთ ისინი, მათ შეკავშირებულ ძალას ჩვენი შეკავშირებული ძალა უნდა დაუყენოთ — წინ. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პარტიაც ისე მოვაწყოთ, ე. ი. იმ პრინციპზე ავაშენოთ, როგორიც ჩვენი მოწინააღმდეგებისაა, ბურჟუაზიულათ და თვითმპყრობელურათ. ჩვენი პარტია უნდა იყოს დემოკრატიულ პრინციპზე აშენებული და ამავე დროს ცენტრალისტური. თუ, ერთი მხრით, ჩვენი პარტია არ იქნება დემოკრატიული, ამით ჩვენ ხელს შევუშლით მუშათა კლასს გათვითცნობიერებაში და თვითმოქმედების შეგნებაში. მეორე მხრით, თუ ჩვენი პარტია არ იქნება ცენტრალისტური, მაშინ არ იქნება ის ძლიერი, ძალები დაქსაქსული იქნება, შრომა — ნაკლებ ნაყოფიერი და მტრისაგან დამარცხება — ადვილი მოსალოდნელი. ანარქისტებს ვერ წარმოუდგენიათ ცენტრალისტური პარტია, რომელიც იმავე დროს შეიძლება იყოს არა ბურჟუაზიული, არა თვითმპყრობელური, — არამედ დემოკრატიული. მხოლოთ ანარქისტებს, ვერ შეუგნიათ ის ჭეშმარიტება, რომ დემოკრატიულ წესით ამორჩეული კაცები, ბატონები და მბრძანებლები კი არა, — არამედ ჩვენთან თანასწორი და ჩვენი ნების ამსრულებელნი იქნებიან. მათ არ იციან დემოკრატიულ ცენტრალიზმის შინაარსი. მათ არ იციან, და ვერც გაიგებენ, რომ დაქსაქსულათ, დანაწილებულათ და ცალკ-ცალკე მოქმედებით მტერი უფრო ადვილათ დაგვამარცხებს და, საზოგადოთ, ცხოვრებაში ჩვენი ასეთი მოქმედება ნაკლებათ უნაყოფო იქნება.

მაშ რა უნდა გააკეთოს პარტიამ?

ყველა ის საჭიროება მუშათა კლასისათვის, რომელიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ მუშათა პარტიის საქმეა. სოციალ-დემოკრატიული შეგნება თავში მუშათა კლასს, ეს უპირველესი მოვალეობაა მუშათა პარტიისათვის. ამისათვის მას უნდა ყავდეს ორგანიზატორები, პროპაგანდისტები და ორატორები, ამისათვის მას უნდა ქონდეს ბიბლიოტეკები, სამკითხველოები და კლუბები, ამისათვის ის უნდა მართავდეს ლექციებს, კრებებს და მიტინგებს. ბევრია ისეთი მუშა, რომელიც წიგნთ-საცავებში, სამკითხველოებში და მუშათა კლუბებში დადის, ლექციებს, კრებებს და მიტინგებზედაც ესწრება, მაგრამ საზოგადოთ ბრძოლაში მაინც ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს, საქმეს გულცივათ ეკიდება. დაჩაგვრას, დამონავებას, მისი პიროვნების შელახვას ხშირათ უპროტესტოთ ითმენს. ასეთ კაცს აკლია რევოლიუციონერობა. რევოლიუციონური ცეცხლის გაღვივება გულში, — ესეც მუშათა პარტიის მოვალეობაა და ის არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს ამ მოვალეობის და ამნაირი თვისების მუშათა კლასში განვითარებას, როცა სოციალ-დემოკრატიულ შეგნებასავრცელებს მასაში. მჭიდრო თოფი ხელში მუშას, შეიარაღება მუშათა მოწინავე ნაწილის, — ესეთ მუშათა პარტიის ერთი წმინდა მოვალეობათაგანია. პრაქტიკული ბრძოლა იდეურ ბრძოლასთან ერთად აუცილებლათ საჭიროა მუშათა კლასისათვის, თუ გვინდა რომ მან თვითმოქმედება შეიძინოს, ამისათვის მუშათა პარტიამ უნდა შეიარაღოს მუშათა მოწინავე ელემენტები, უნდა ასწავლოს იარაღის ხმარება, და მოქალაქობრივი ომის ტაქტიკა, აი ამდენი საქმეები უნდა გაგვიკეთოს პარტიამ და ის აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის.

ეხლა ვიკითხოთ სანამდეა პარტია ჩვენთვის საჭირო?

როგორც ზემოთ ჩამოთვლილ მუშათა პარტიის ფუნქციებიდან დავინახეთ, პარტია არ არის სახელმწიფო. ის არის ბრძოლის ორგანიზაცია, სადაც მუშათა კლასი თვით-ცნობიერებასთან თვით მოქმედებასაც ღებულობს. ის არ არის არც მომავალი სახელმწიფოს დასაწყისი. მას უფრო ჩქარა ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ მომავალი სახელმწიფოს სკოლა. მუშათა პარტიის დახმარებით მუშათა კლასმა უნდა მოიპოვოს დიქტატურა, ე. ი. მან უნდა ჩაიგდოს ხელში სახემწიფო მართვა-გამგეობა, და ამის შემდეგ ის მოსპობს ყველა კლასებს და აქედან, თავის თავად მოსპობს ყოველ გვარ პარტიებსაც. მაშასადამე პარტია ჩვენთვის საჭიროა დიქტატურის მოპოვებამდე. ამ დროიდან დაიწყება სოციალისტური წესწყობილების დამყარება მუშათა კლასის მიერ, როგორც ერთი მთელი კლასის მიერ.

გ. თელია.

ბრივ გაზეთებში. იყო მხოლოდ სჯა ბაასი კრიტ ხასიათის: ამხანაგმა შვარცმა წინადადება მოგვცა გამოგვეცხადებინა კრება კავშირის დამფუძნებელ კრებად და აგვერჩია ახალი ბიუროს წევრები რადგანაც ძველი ბიუროს მოღვაწეობა არ არის საკმაოდ ნაყოფიერიო. მე ვუპასუხე თუმცა დღეს უნდა აგვერჩია ახალი ბიურო თანახმად წესდებისა, მაგრამ რადგანაც არ დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა, წინადადება მივეცი კრებას არჩევნები გადადეს შემდეგ კრებისათვის. რაც შეეხება ხელახლა კავშირის დაარსებას, ს სისულელე იქნება, რადგან წასულ კრებაზე იგი უკვე [illegible], შესაფერი წესდება შევიმუშავეთ, და [illegible]. შესახებ ძველ ბიუროს უმოქმედობისა, [illegible], რომ თუმცა არ ვამართლებ ბიუროს, [illegible] შეიძლია არ დავასახელო სხვა და სხვა მიზეზი რამაც შეაფერხა ბიუროს მოქმედება: პირველი — რომ ბიუროს არ შეუძლია მოქმედება თუ კი მას ნიადაგი არა აქვს, თუ კი ამხანაგების უმრავლესობა დაინტერესებული არაა კავშირის გაძლიერებაში; მეორე — დეკემბერ იანვრის გაძლიერებული რეაქცია, რამაც დროებით შეასუსტა, თავისუფლად განვითარების გზა მოუსპო, არამც თუ ჩვენს, ისედაც სუსტ კავშირს, არამედ ძლიერ პოლიტიკურ პარტიებსაც მძიმე ლოდივით დააწვა, თუ სულ არა რამოდენიმედ მაინც შეასუსტა მათი მოქმედება, და ზოგან კი სრულიად შეაჩერა. ასეთივე აზრი გამოსთქვეს კრების თავმჯდომარემ სულაბერიძემ და ვ. კოჩინევმა. შემდეგ ილაპარაკა ბ. ქაჯაიამ, დაამტკიცებდა, რომ კავშირის დაარსება, მხოლოდ უმრავლესობას შეუძლია, უმცირესობას ამის უფლება არ აქვსო (**ПОДАВЛЯЮЩЕЕ МЕНЬШИНСТВО**-სო ქაჯაიას სიტყვები). გამოდის, რომ შეგნებულმა უმცირესობამ ხმა არ უნდა ამოიღოს და შეუგნებელ უმრავლესობასთან ერთად სალათას ძილს მიეცეს. განსაკუთრებით ჩემს წინააღმდეგ გაილაშქარა ბ-მა ქაჯაიამ, პოლიტიკური პარტიები უსინდისოთ შეურაცყვეო ბრძანა მჭევრმეტყველმა ორატორმა, უმოქმედობა დასწამეო. რეაქციის დროს თუ პარტიების მოქმედება სუსტდება ეს შეურაცყოფა კი არ არის ფაქტია, ან და არა მგონია, რომ რომელიმე პარტიისთვის საჭირო იყოს ბატონ ქაჯაიას და მის მსგავს ვაჟბატონების მფარველობა; ფარმაცევტებში არა ერთი და ორი მოეპოვება პარტიებს თანამგრძნობი, და არა ისეთი როგორც ბ. ქაჯაიაა. დიდად ვწუხვარ, რომ ბატონმა „შტიკმა“ ფაქტები აგრე დაამახინჯა და პატივცემული რედაქცია შეცდომაში შეიყვანა.

თბილისის მოსამსახურე ფარმაცევტების ბიუროს მინდობილებით.

**ბესარიონ გაბუჩია.**

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

11 ივლისი.

**პარიზი** სასამართლომ ალექსანდრე სოკოლოვს 5 წლის დაპატიმრება და 500 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა. ვიქტორ სოკოლოვს და სოფია სპერანსკაიას დანაშაული ვერ დაუმტკიცეს და გაამართლეს

**სუდჟა.** მარტინოვის და კოსტორიეს გლეხებმა მიწის მომწყობ კომისიაში წარმომადგენელის არჩევაზე უარი განაცხადეს.

**ყაზანი.** გაზეთ „ვეჩერნეე ეხოს“ რედაქტორი დაიჭირეს. გაზეთი შეაჩერეს „ვოლჟსკი კურიერის“ და „ვოლჟსკი ვესტნიკი“-ს ნომრები დაატყვევეს. იმ სტამბის პატრონმა რომელშიაც „ვოლჟსკი კურიერი“ იბეჭდებოდა, გაზეთის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა.

**კოსტრომა.** კვირას მუშების მიტინგები გაიმართა წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით. ქალაქში სიწყნარეა.

**პეტერბურგი.** „საზოგადო მოღვაწეების კლუბში“ დღეს სახელმწიფო საბჭოს ცენტრის პარტიას თათბირი ჰქონდა. გადასწყვიტეს კანიკულზე შეადგინონ გამაერთიანებელი ცენტრი და ემზადონ ახალი სესხისთვის. —სახელმწიფო სათათბიროს 30 მემარჯვენე წევრები, გეიდენის და სტახოვიჩის ხელმძღვანელობით შეიკრიბენ იმავე კლუბში და გადასწყვიტეს ცალკე მოწოდებით მიმართონ ხალხს. ამ მოწოდებაში ხალხს ურჩევენ მშვიდობიანათ და მოთმინებით ელოდონ დუმის კვლავ მოწვევას — სახელმწიფო [illegible] ცენტრმა, შიპოვის და თავ. [illegible] მეთაურობით, გადასწყვიტა დუმის მოწვევამდის დაარსოს მუდმივი კომიტეტი, რომელიც მოიწვევს საზოგადოების წარმომადგენელს რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისგან წამოყენებული კითხვების განსახილავათ. —გზათა მინისტრი შეეკითხა გზების უფროსებს რკინის გზის მოსამსახურეებში მღელვარების შესახებ. 11 ივლისს თითქმის ყველა უფროსებმა უპასუხეს, რომ მოსამსახურეები დამშვიდებული არიან და ჯერ ჯერობით გაფიცვას არ აპირობენ. —დღეს დაიჭირეს გაზეთი „რეჩი“ „ნაშა ჟიზნი“ და „სტრანა“ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატების ხალხისადმი მოწოდებების დაბეჭდვისთვის. — შავი ზღვის ფლოტის ახალ უფროსს სკრიდლოვს საუბარი ქონდა პეტერბურგის სააგენტოს წარმომადგენელთან. „ჩემი მდგომარეობა, სთქვა ადმირალმა, მით უფრო სამძიმოა, რომ მთელი რუსეთი კრიტიკულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. რუსეთი ავათმყოფია. შავი ზღვაც ავადმყოფი ორგანიზმის ნაწილია და დიდი მოვლა სჭირია. მე ყოველივე სულიერ და გონებრივ ღონისძიებას ვიხმარ ნორმალური მდგომარეობის აღსადგენათ“. — გრადონაჩალნიკის განკარგულებით დაკეტეს ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალური კლუბი და სოციალურ-პოლიტიკური კლუბი. —მუშათა დეპუტატების საბჭოში ქარხნების კომიტეტების დეპუტატების ერთი ნაწილიც შევიდა; გუშინდელი სხდომის დროს საბჭომ მიიღო ცნობა, ხელმწიფო სათათბიროს ყოფილ სოციალდემოკრატიულ ფრაქციას, მათთან ერთად მოქმედება უნდა. მ. დ. საბჭოს გადაწყვეტილება საიდუმლოა. — დახურეს გაზეთი „სოვრემენნაია ჟიზნ“.

**ოდესა.** არეულობის დროს ხულიგანებმა სამხედრო პატრულს ხელიდან თოფი გამოგლიჯეს და რამდენჯერმე ისროლეს. ებრაელების დამცველი რაზმი სროლით იფარავდა თავს. რაზმიდან ორი მოკლეს, ოთხი დასჭრეს. ფეხით გათელეს ერთი ქალი და ბავშვი. დღეს, შუადღის 5 საათზე არეულობამ იმატა. სრედნია ქუჩაზე კაზაკებსა და ებრაელების დამცველ რაზმს შორის სროლა არის. ბევრია დაჭრილი და დახოცილი. გამოიწვიეს სანიტარები.

**პეტერბურგი.** დღეს დახურეს გაზ. „სტრანა“ და „ნაშა ჟიზნ“. — დაკეტეს კადეტთა სუყველა რაიონული კლუბები, და მშრომელთა ჯგუფის კლუბი. კადეტთა „როჟდესტვენსკის კლუბი“ და მშრომელთა ჯგუფის ბინა გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. —დაკეტეს „ნაშა ჟიზნის სტამბა. რკინის გზებზე გაფიცვის თავიდან ასაცილებლათ სასტიკი ზომებია მიღებული. ყველა უფროსებმა მოხსენება უნდა სწერონ, თუ ვინმე სამსახურში არ გამოცხადდა. —7 ივლისიდან ნევაზე საზღვრის დარაჯებით სავსე კატერები და კრეისერები სდგას; ისინი უნდა დაედევნონ მანიფესტანტებს, თუ ისინი გემებზე მოთავსდებიან —ხმა დადის, რომ სამარინი და გუჩკოვი ახალ კაბინეტში შევლენო. — გუშინ საღამოს სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრები, კადეტები, უკანასკნელათ შეიკრიბენ.

**მოსკოვი.** დილას გაფიცვას აპირებდენ ცხენის რკინის გზის მუშები, პეტროვსკი პარკის ქალაქის [illegible] ფერიტორიები, და ქალაქის ქუჩების დამგველები. პოლიციამ ღებმა გაფიცვა შესწყვიტა. —დაიჭირეს სოც. [illegible] ოლქის ერთა კომიტეტების წევრები, სულ 25 კაცი, ამბობენ, რომ სოციალდემოკრატიული პარტია ამ ქამთ გაფიცვის წინააღმდეგიაო.

**ჰელსინგფორსი.** მიიღეს 9 ივლისს მანიფესტი, რომელიც მინისტრას აძლევს ფინლანდიას.

**პეტერბურგი** დღეს სამშობლოში ბრუნდება სახელმწიფო სათათბიროს 70 ყოფილი წევრი.

**ოდესა.** არეულობა შეწყდა. დაიჭირა ორი კაცი- ქუჩები ხალხით სავსეა. ხალხი ძალიან აღელვებულია.

**რეველი.** 12 ფაბრიკის 9000 მუშა გაფიცულია.

**მოსკოვი.** აღმოაჩინეს ყუმბარების ფაბრიკა. ბინის პატრონი ტრუხაჩოვი დაიჭირეს. —კადეტთა ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა განაგრძოს ენერგიული მოქმედება. —ამ დღეებში კადეტთა პარტიის სიეზდი მოხდება ან პეტერბურგში ან მოსკოვში.

**პიატიგორსკი.** პიატიგორსკში, კისლოვოდსკში, ჟელეზნოვოდსკში და ესენტუკში, დუმის დათხოვის შესახებ მიტინგები ხდება. —კისლოვოდსკში გაანადგურეს კონსერვატიული გაზ. „ნარზანის“ სტამბა.

**ვლადიმირი.** ბევრმა სოფლებმა მიწის მომწყობ კომისიაში წარმომადგენლების არჩევაზე უარი განაცხადეს.

**სმოლენსკი** გაჩხრიკეს კადეტთა პარტიის მდივნის სადგომი. დაიჭირეს კომიტეტის მიწერ მოწერა. ქალაქში სიწყნარეა.

**კიევი.** დაიწვა თუთუნის ფაბრიკა. 700 მუშა უსაქმოდ დარჩა.

**ყაზანი.** დაატყვევეს თათრული გაზეთის „პოლიარნაია ზვეზდას“ პირველი ნომერი.

**გროდნა.** ვონვოვის მაზრაში გლეხების გაფიცვები არ შეწყვეტილა. მოძრაობა მშვიდობიანია.

**ლონდონი.** სახელმწიფო სათათბიროს დელეგატები რუსეთში დაბრუნდნენ უმეტესობა პეტერბურგში წავიდა.

12 ივლისი.

**ვარშავა.** რკინის გზებში და სამმართველოებში ჯარები სდგას. მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

**დმიტროვსკი.** ლობანოვოში გლეხების მოძრაობა დაიწყო. იქითკენ ისპრავნიკი და კაზაკები გაეშურენ.

**ქერჩი.** დამოენის მოხელეს პუნიროვსკის რამდენჯერმე ესროლეს. მაგრამ ვერაფერი დააკლეს. ბოროტ-გამძრახველნი მიიმალენ.

**იალტა** ქალაქის საბჭოში უსაქმოთ დარჩენილმა მუშებმა წინადადება გამოიტანეს უფასო სასადილოების გამართვის შესახებ.

**პეტერბურგი.** მშვიდობიანი განახლების პარტიამ გრაფ. გეიდენის, ლვოვის და სტახოვიჩის ხელ-მოწერილი მოწოდება გამოუშვა. მოწოდების ავტორები აცხადებენ, რომ ისინი უსიტყვოთ ემორჩილებიან ხელმწიფის ნებას და ღრმათ დარწმუნებულნი არიან რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დიდ დანაშაულს ჩაიდენენ ამ საყოველთაო ამბოხების დროს ხელმწიფის ნება, რომ შეერყიათ. მოწოდება ურჩევს ხალხს მშვიდობიანობისკენ და ურჩევს მოძრაობასთან ბრძოლას, რადგანაც ახლა წესიერების დარღვევა დიდი დანაშაული და სიგიჟეა: მთავრობა მოთმინებიდან გამოვა და უკიდურეს ზომებს მიიღებს სახელმწიფოს მთლიანობის და მოქალაქეთა მშვიდობიანობის დასაცველათ. თუ ხალხმა ამ რჩევას ყური არ ათხოვა, ამას აუარება მსხვერპლი და რუსეთის სრული განადგურება, დაქსაქსვა და დაღუპვა მოჰყვება. გ. გეიდენი და სხვები მოუწოდებენ ხალხს ემზადოს მომავალი არჩევნებისთვის და წაგ-მორჩილ 6 მეფის კანონიერ სურვილს განაგძონ მშვიდობიანი მოღვაწეობა რუსეთის ხალხის თავისუფლების დასაცველად.

მუშათა რაიონებში, სიწყნარეა. პუტილოვის მუშების მიტინგზე გონიერმა მუშებმა როგორც იქნა შეაჩერეს ამხანაგები. რომლებიც ეხლავ გაფიცვას აპირებდენ. სხვა მიტინგებიც მშვიდობიანათ თავდება. ეტყობა მუშებმა გადასწყვიტეს ჯერ-ჯერობით არ დაიწყონ გაფიცვა და მთავრობის პოლიტიკას თვალი ადევნონ. უკიდურესი პარტიების აზრით ახლა ბრძოლაში გასვლა არ არის სასურველი. ეკონომიური გაფიცვების შეჩერებასაც ცდილობენ. —სულ პეტერბურგში 7000 მუშაა ახლაა გაფიცული. —გაფიცვების ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ფაბრიკა-ქარხნებს გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც წინადადებას აძლევს ნუ დაიწყებენ ჯერ პოლიტიკურ გაფიცვას. ასეთივე განცხადება გაუგზავნეს რკინის გზის კავშირებს. — ადმირალი სკრიდლოვი სევასტოპოლში წავიდა.

**პლოცკი.** გენ.-გუბერნატორ კვიტნიცკის თავს დაეცენ მოსაკლავათ, მარა ვერ მოახერხეს.

**სარატოვი.** გუბერნატორმა აკრძალა ყოველივე კრებები და მიტინგები.

**კიშინიოვი.** გუბერნატორმა გამოუცხადა მცხოვრებლებს სახელმწიფო დუმის დათხოვნა და უბრძანა პოლიციელებს დაუშალონ ხალხს ყოველივე მიტინგები და ჩააგონონ, რომ მთავრობა ძლიერია, რომ ის მტკიცეთ დაიცავს ქონებრივ და პირად მყუდროებას. არეულობა თავშივე უნდა ჩააქრონ სწრაფი და მკაცრი ზომებით.

**პეტერბურგი.** რადგანაც სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს, ფინანსთა მინისტრი 1907 წლისთვის ახალ ანგარიშს ადგენს. —პეტერბურგის გუბერნატორმა მოწოდებით მიმართა პეტერბურგის გუბერნიის მცხოვრებლებს. მოწოდებაში გუბერნატორი დუმის დათხოვნაზე ლაპარაკობს; ურჩევს ხალხს მოთმინებას ახალი სათათბიროს მოწვევამდის; მოაგონებს ხელმწიფის ერთგულ შვილთა მიმართ მოწოდებას და მოუწოდებს მცხოვრებლებს ნუ იქნებიან მოუთმენარი. ხარბი და თვითნება, ერთგულათ, გონივრულათ და თავ-განწირვით ემსახურონ ძვირფას სამშობლოს.

**სევასტოპოლი.** რადგანაც აგრარული მოძრაობა ძლიერდება, თათარმა მემამულეებმა სათათრეთიდან გამოიწერეს მუშები.

**მოსკოვი.** დახურეს გაზ. „ნაროდნოე დელო“ — უკიდურესმა პარტიებმა კვლავ გადასწყვიტეს გაფიცვა არ მოახდინონ. —მოსკოვში მრავალი რევოლიუციონერები დაიჭირეს. ხმა დადის, რომ მთელი რევოლიუციონური ორგანიზაცია ძირიანათ მოისპო, დაატყვევეს სამხედრო ორგანიზაციის წევრები. — ყუმბარების აღმოჩენის დროს დაიჭირეს 5 რევოლიუციონერი. —გაზ. „სვეტოჩ“-ის ყოფილი რედაქტორი დაიჭირეს. —ადმინისტრაციამ განკარგულება მიიღო პეტერბურგიდან დაბრუნებულ სათათბიროს წევრების შესახებ. ნაბრძანებია არ დაანებონ სათათბიროს წევრებს მიტინგებზე დასწრება და ამომრჩევლებთან სათათბიროს მოქმედებაზე მოხსენების წაკითხვა.

**პეტერბურგი.** კადეტთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ამავე პარტიის ყოფილ დეპუტატებს შეუწყვეტელი სხდომა აქვთ. პარტია არა თუ არ მოისპო, პირიქით სულ უფრო ვითარდება. ადგილობრივი კომიტეტები, ყოველ დღე ეკითხებიან ცენტრალურ კომიტეტს აწინდელი ტაქტიკის შესახებ.

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**

ელექტრო მბეჭდავი „ლომაური“ სემენოვის ქუჩა № 1